სარჯიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 სექტემბერი 2006 №215 (2837) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენია!

საქართველო მსოფლიოში პირველია!

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია!

თანაც გუნდურად! თანაც ფინალში რუსები დაამარცხა!

მთავარი კი ის არის, რომ ძიუდო ჩვენია, რაღაცნაირად ჩვენებურია და ეს კიმანო ისე გვადგას ტანზე, თითქოს იმაში გამოხვეულები დავიბადეთო.

რაც ჩვენია, იმაში ჩვენი დამარცხება ძნელია, გინდა, რუსი იყოს, გინდა, მთელი მსოფლიოს დიდი კნიაზობა.

თანაც გუნდურად!

ქართველებისგან გუნდური მოგება უფრო ძნელია ხოლმე, ასე კი გამოდის და... ჰოდა, იმ ძნელშიც საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია...

ГРУЗИЯ КОМАН-ДА!

AFP ბარი ზიდან

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი
I წრე. 6 ტური

გიო ახვლედიანის სვეტი

რიკელმე და ჩვენ

გასულ კვირაში რომან რიკელმემ არგენტინის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა პირადი მიზეზების გამო. როგორც ჩანს, ფეხბურთელებს დიდად ულირთ ხოლმე ის ხუთიოდ შედარებით თავისუფალი დღე, სანაკრებო თამაშების თარიღებს რომ უსწრებს წინ. თუნდაც ერთხელ თვითმფრინავში არჩაჯდომაც დიდი შეღავათით უნდა იყოს.

თუმცა, შესაძლოა, მიზეზები უფრო ღრმაც იყოს.

რიკელმე ისედაც სევდიანი სახის ბიჭია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კი, მგონი, კიდევ უფრო დასევდიანდა. დედის ავადმყოფობაც კი დაუკავშირა პრესიდან მოვარდნილ კრიტიკას. ჰოდა, არის ბევრი ადამიანი, ვისაც რაღაცების სმენა საკუთარი თავის შესახებ არც უყვარს და არც სჭირდება, მით უმეტეს, როცა საქმე რაიმე ეროვნულს ეხება.

ვინ იცის, ეგებ რიკელმეც ასეა.

მე უფრო სხვა რამეზე მოგახსენებთ: აი, წავიდა არგენტინის ნაკრებიდან რიკელმე და ვინ ითამაშებს მის ადგილას?

ორი ერთნაირი ფეხბურთელი არ არსებობს. მაყურებლისთვის ისიც ალმაფრთოვანებელია, რომ იტყვის, ეს იმას ჰგავსო. ფეხბურთისთვის ეგეც საკმარისია.

მაგრამ არგენტინის ნაკრებში რიკელმეს შემცვლელი გამოინახება. რა თქმა უნდა, არა მთლად მისნაირი, მაგრამ ნამდვილად მაგარი ფეხბურთელი. მე მგონია, რომ ალფიო ბასილესნაირ მწვრთნელს სწორედ რიკელმესნაირი ფეხბურთელი სჭირდებოდა, მაგრამ რას იზამ? ბოლოს და ბოლოს, რიკელმეს ტაქტიკა შეცვლის.

არგენტინაში ფეხბურთელი არ ჭირს.

არა, რიკელმეს გაქანების ფეხბურთელი იქ ახლა შუა მოედანში არ არის, მაგრამ შეცვლა ყოველთვის მოხერხდება.

ამ ხუან რომანის შესახებ ლაპარაკში კი უფრო სხვას ვდარდობ:

როდის იქნება, რომ საქართველოს ნაკრებს შემცვლელი ეყოლება?

ნეტავი იმ დროს...

აი, ვთქვათ, შოთა ანებებს თავს. კაცი უკვე ოცდაცამეტისაა. რა იცი, როდის რას გადაწყვეტს?

ვინ არის შენი ფორვარდი, როცა შოთა თავს დაანებებს? ვიღაცა აუცილებლად უნდა გამოჩნდეს. მართალი იყო ტოპმიოლერი, რომ თქვა, ნაკრებში თამაშს დღეს 14-15 წლიდან ეჩვევიანო. ანუ, ასაკობრივი ნაკრებებიდან წამოსული ბიჭები უფრო იოლად ერგებიან დიდ ნაკრებს. მე ისიც მახსოვს, იუნიორი ბრაზილიელებიდან, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, პროფესიონალობა ერთადერთმა რომ შეძლო, მაგრამ ის ბრაზილიაა. ჩვენ კიდევ ყველა ტალანტი აკვნიდან აღრიცხული უნდა გვყავდეს.

მგონი, ასეა.

რიკელმეს შეცვლიან როგორღაც.

უკრაინა — საქართველო საჩხერულად

მწვრთნელების საერთო აზრი: თამაშში, ჩხუბში, მსაჯთა შეფასებაში

საჩხერე. 17 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 1 500 მაყურებელი

ჩიხურა 1:1 ლოკომოტივი

0:1 გოჩაშვილი (75), 1:1 კაკალაძე (76პ)	
ჩიხურა: მამალაძე, თავბერიძე (მიქაძე 27), ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, თედორაძე, მესხი, ლ. ჩხაიძე (სულთანიშვილი 83), სანიკიძე, ჩომახიძე, ეგაძე, კაკალაძე *სათადარიგონი:* დოლაძე; ლ. ვაშაკიძე, ბრეგვაძე, სტეფანიშვილი მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი	ლოკომოტივი: გვარამაძე, გუშარაშვილი (ფოფხაძე 48), მიხაილიდი (სარაჯიშვილი 79), თუთბერიძე, ებრალიძე, გ. კვახაძე, ბახტაძე, ვ. გოჩაშვილი, ცხომარია (ბარბაქაძე 63), ავალიანი, კუპრეიშვილი *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი, მხეიძე, ალავერდაშვილი მწვრთნელი: ამირან მინაშვილი
გაფრთხილება: კუპრეიშვილი (30), მერებაშვილი (43), ცხომარია (55), გოჩაშვილი (67), მესხი (69), ბარბაქაძე (71)	
გაძევება: სანიკიძე (74)	
მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე, მ. ლომსაძე; ს. სპიცინი	

ოთარ აბესაძე საჩხერიდან

მატჩის დაწყების წინ საჩხერის „ჩიხურას" ჰიმნის პრეზენტაცია მოეწყო, რომლის ავტორი კომპოზიტორი გია მაჭარაშვილია...

პირველმა ნახევარმა მოსაწყენად ჩაიარა, გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი შექმნეს.

თავიდან შოთა ჩომახიძის აქტიურობას „ლოკომოტივის" მცველების შეცდომა მოჰყვა, ბურთი ლაშა ეგაძემ მიიღო და კარგად დაუგორა სეხნია ჩხაიძეს, თუმცა მან ვერ ივარგა. მერე კი ლოკომოტიველი კონსტანტინე ავალიანი მარჯვენა ფრთიდან გაიჭრა და ვლადიმერ გოჩაშვილი მოძებნა, რომლის დარტყმულიც მეკარის ნადავლი გახდა.

გაცილებით დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარი. ჩომახიძის ნაკუთხურალს სანდრო ბურნაძის მძლავრი თავური მოჰყვა — დავით გვარამაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. იმავ ჩომახიძის ჩაწოდებულს მიხეილ კაკალაძემ ვერ მოუქნია საგოლედ.

მალევე საჩხერელები პენალტს ითხოვდნენ — თბილისელ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა, თუმცა მსაჯმა ეს დარღვევად არ შეაფასა...

თბილისელთაგან საუკეთესომ გოჩაშვილმა ვერ ისარგებლა საჩხერელთა უყურადღებობით, ბურთი კარს ოდნავ ააცილა.

მატჩის ბოლო თხუთმეტმა წუთმა ყველაფერი დაიტია — გოლებიც, წითელი ბარათიც და სახიფათო მომენტებიც. 74-ე წუთზე ბოლო იმედის ჯარიმისთვის გიორგი ვადაჭკორიამ მოედნიდან ლევან სანიკიძე გააძევა, რომელმაც გოჩაშვილი წააქცია. ჯარიმას გოლი არ მოჰყოლია, მაგრამ გოჩაშვილმა წუთში მაინც გაიტანა: მცველების აშკარა შეცდომით ისარგებლა და 0:1.

თბილისელებს გოლი ხეირიანად არც გახარებიათ, როცა კუპრეიშვილმა საჯარიმოში აკრძალული ილეთით შეაჩერა გიორგი მიქაძე და თერთმეტმეტრიანი მიხეილ კაკალაძემ ზუსტად შეასრულა — 1:1.

კაცნაკლულმა „ჩიხურამ" მოსაგებად გაიწია. მიქაძემ სამი თბილისელი ჩამოიცილა, კარში დარტყმას პასი ამჯობინა, რომელიც უზუსტო გამოდგა.

ბოლოს კი ძალიან სახიფათო საჯარიმო დაინიშნა „ლოკომოტივის" კართან და ჩომახიძის დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია გვარამაძემ.

მატჩის დასრულებისთანავე „ჩიხურას" და „ლოკომოტივის" მწვრთნელები, ხვიჩა ქასრაშვილი და ამირან მინაშვილი შელაპარაკდნენ, თუმცა გაუგებრობა მალევე ჩაიფარცხა.

პრესკონფერენცია

ამირან მინაშვილი: თამამად ვიტყვი: ქართული ფეხბურთის პირველი მტრები მსაჯები არიან — როცა თამაში გასაგრძელებელია, მაშინ აყოვნებენ, ხანაც პირიქით.

ვახტანგ თურმანიძე, „ჩიხურას" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე: რაც ჩემპიონატი დაიწყო, მსაჯებზე აუგი არ დაგვცდენია, ახლა კი ვიტყვით: გიორგი ვადაჭკორიამ ნაღდი პენალტი არ მოგვცა და, საერთოდაც, ცუდად იმსაჯა.

ოლიმპის ნულს ნიავი არ ეკარება

არგენტინა ქართულ ფეხბურთს არცხვენს?

ბორჯომი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 2 000 მაყურებელი

ბორჯომი 0:4 ოლიმპი

0:1 ხუბუა (6), 0:2 ქებაძე (37), 0:3 აფციაური (45), 0:4 დვალიშვილი (66)	
ბორჯომი: პაკორი, ბედინი, ავერსა, ნინი (ლომიძე 46), ვომარო (ლაზარაშვილი 46), ნკემი, ქარქუზაშვილი, ბაქრაძე, ავალიანი, შ. ჯიქია *სათადარიგონი:* შეყრილაძე; თედიაშვილი, ტალახაძე, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე	ოლიმპი: მ. ალავიძე, სეთურიძე, მახვილაძე, რ. ონიანი, ხუბუა, ქებაძე (ხოჯავა 57), გეწაძე (მიმინოშვილი 46), კახელიშვილი, აფციაური, დვალიშვილი (ვ. კვარაცხელია 80), სირბილაძე *სათადარიგონი:* ნაჭყებია; მიქიაშვილი, გ. თოდუა, ხოხონიშვილი მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე
გაფრთხილება: ბედინი (73)	
გაძევება: ქარქუზაშვილი (62)	
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; მ. ელიკაშვილი, ჭ. გუდურაშვილი; ო. ხეცაძე	

ილია ნანობაშვილი ბორჯომიდან

„საქართველოს პირველი ჩემპიონატიდან ვმუშაობ და ასეთ დღეში არასოდეს ვყოფილვარ. ჩამოიყვანო შვიდი არგენტინელი მარტო იმისთვის, რომ არგენტინელი ჰქვია?! ეს ქართული ფეხბურთის მასხრად აგდებაა. ამ ხალხს ჰგონია, რადგან არგენტინელია, მორჩა, ძლიერია. იცით, პირველ ტაიმში შემადგენლობა იმ კაცმა დააყენა, ვინც ეს სელექცია ჩაატარა გუნდში. არ მაინტერესებს, რამდენი ხნით დარჩებიან არგენტინელები „ბორჯომში" და რა მისია აკისრიათ. ისინი მე არ მომიყვანია. დღეს „ოლიმპმა" აჩვენა, რომ ქართველებსაც შეუძლიათ ფეხბურთის თამაში, რაც ძალიან მიხარია" — მიხვდებოდით, ეს ვისი სიტყვებიცაა...

„ბორჯომის" თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ ამ მწარე ნათქვამს ისიც დაამატა, რეაგირების გარეშე არ დავტოვებ ჩემს უპატივცემულობასო. ხაჩიძემ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, ერთი თვის შემზადებულნავარჯიშები შემადგენლობიდან უცებ 6 ფეხბურთელი გაუშვეს და ეს არგენტინელები მომიყვანესო.

არგენტინელები... არა, კი ვიცოდით, რომ აიმარი და მესი აქ არ ჩამოვიდოდნენ, მაგრამ არც ისეთი სუსტები გვეგონენ, ჩვენი ჩემპიონატის დონეს ოდნავ მაინც თუ ვერ „გაქაჩავდნენ". იქნებ დროთა განმავლობაში ათამაშდნენ, მაგრამ საამისოც რომ არ ეტყობათ?

შვიდ არგენტინელს ორი კამერუნელიც დაემატა „ბორჯომში". ერთი, ნახევარმცველი ოლივერ ნკემი მოედანზე იყო, მეორე კი პრეს-ლოჟიდან უყურებდა თამაშს. მთლიანობაში ხაჩიძის გუნდის ძირითადში ექვსი არგენტინელი და ერთი კამერუნელი იყო.

ვლადიმერ ხაჩიძე

ისე გამოვიდა, სულ „ბორჯომზე" ვლაპარაკობთ, არადა, გუშინ ერთი გუნდი თამაშობდა და ეს რუსთავის „ოლიმპი" იყო, რომელსაც ერთი გოლიც არ ჰქონდა გაშვებული და იღბლიანი სერია კურორტზეც გააგრძელა — 14:0, ასეთია ოლიმპელთა შეფარდება. მართლაც საინტერესო ახალგაზრდა მწვრთნელია გიორგი კიკნაძე, ფეხბურთელობისასაც აზრიანობითა და ჭკვიანური თამაშით გამოირჩეოდა და გუნდის დამოძღვრაც ასეთი სცოდნია.

„წინა ტურში „ამერთან" ბორჯომელთა თამაშს რომ ვუყურე, იქიდან გამომდინარე, დღეს ასეთი დიდი ანგარიშით მოგებას არ ველოდი. მადლობას ვუხდი ბიჭებს. ჩვენ ტურიდან ტურამდე ვისახავთ მიზანს და მაინცდამაინც ჩემპიონობას არ ვგეგმავთ. ძნელიცაა, ახლადშექმნილმა გუნდმა პირველივე წელს ჩემპიონობა მოიპოვოს. რევაზ გეწაძე ჯერ ბოლომდე არ არის ფორმაში და ამიტომაც ვათამაშე ერთი ტაიმი" — გვითხრა ნამატჩევს კიკნაძემ.

რაც შეეხება გოლებს, მე-6 წუთზე ბორჯომელი დავით ბაქრაძის შეცდომას გელა ხუბუას საგოლე თავური მოჰყვა — 0:1.

37-ე წუთზე ირაკლი სირბილაძემ თავით დაუგდო ბურთი ლაშა ქებაძეს და მანაც შორეულ კუთხეში 0:2 გახადა. ტაიმის ბოლო წუთზე თორნიკე აფციაურმა ტექნიკური დარტყმით მოსპო ყველანაირი ინტრიგა; მეოთხე გოლი კი 66-ე წუთზე ვლადიმერ დვალიშვილმა ისე გაიტანა, კაციშვილი არ უშლიდა ხელს 5-6 მეტრიდან დარტყმაში.

ბორჯომელთაგან ისევ ქართველები თუ გამოირჩეოდნენ, თორემ არგენტინელები მხოლოდ მომენტების განიავებითა და უხეშობით გვამახსოვრებდნენ თავს. მარცხენაფლანგელი ლეანდრო ავერსა ზოგჯერ ისეთ უხიფათო სიტუაციებში იქნევდა მუჯლუგუნებსა და ფეხებს, გაგიკვირდებოდა კაცს. არგენტინელებზე ბევრი ვთქვით და ვერც კამერუნელი ნკემი ყოჩაღობდა.

არადა, ფედერიკო კასტელოს ორჯერ შეექმნა საგოლე მომენტი, სებასტიან ვომაროსა და დიეგო ნინისაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ზოგჯერ მიხეილ ალავიძე თამაშობდა ფხიანად, ზოგჯერაც არგენტინელები ირჯებოდნენ უხეიროდ.

მოკლედ, ბორჯომელი გულშემატკივარი გაწბილებული ტოვებდა სტადიონს...

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა | I წრე. 6 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული საქმე

ამერმა ტორპედოს ტ-ში ერთიანი ჩაუწერა

თბილისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

ამერი 1:0 ტორპედო

1:0 წინამძღვრიშვილი (65)	
ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე (დოლიძე 60), ბოლქვაძე (დ. მჭედლიშვილი 82), გ. ჯელაძე, სევასტოპულო (რ. წინამძღვრიშვილი 46), ს. დავითაშვილი. სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; გაბისკირია, ბერიანიძე, ჩიკვილაძე. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	ტორპედო: კოდალაევი, ბერუაშვილი, გამეზარდაშვილი, ფარულავა, გოგია (ჭედია 78), გურული, ზ. ჩხეტიანი, კრასოვსკი, თ. უგრეხელიძე (დოლონაძე 46), ლალაძე (მ. ლონლაძე 73), წიქარიშვილი. სათადარიგონი: ქვილითაიძ; ცქვიტაია, ა. კვერნაძე, ნ. ნადირაძე. მწვრთნელი: იური კვერნაძე
გაფრთხილება: ჩხეტიანი (24), დობროვოლსკი (29), ჯელაძე (36), დიდავა (61)	
მსაჯები: ლ. კვარაცხელია; დ. კურტანიძე, გ. ყრუაშვილი; მ. ურუშაძე	
დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი	

კობა ინასარიძე

გუშინ გლდანში ხუთ ტურში წაუგებელმა გუნდებმა ითამაშეს და ის ერთი, „ტორპედოსთვის" იქნებ შემთხვევითი, თუმცა „ამერისთვის" სავსებით ლოგიკური გოლი რომ არა, დღესაც ორივე გუნდი წაუგებელი დარჩებოდა.

გახსოვთ ბოლო სეზონების „ტორპედო"? გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა, ახლა ლიდერებს შორისაა და ისეთ ფეხბურთს თამაშობს, მისი დამარცხება ნამდვილად ძნელია. „ტორპედოსა" და მის ფაქტობრივ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს თითქოს ისეთი ფეხბურთელები არც ჰყავთ, ასეთი შედეგი ჰქონდეთ, მაგრამ... ერთხელაც გამოჩნდა, რომ მწვრთნელის როლი დღევანდელ ფეხბურთში შეუფასებელია. სწორედ მწვრთნელის, ოღონდ მასპინძლების, დროულ და ზუსტ შეცვლებს კი ის ერთადერთი გოლი მოჰყვა, რომელმაც „ამერს" მოგებათა სერია გააგრძელებინა, ხოლო აქამდე წაუგებელ ქუთაისელებს წააგებინა.

კარგი, დაძაბული და თვალსასეირო მატჩი გამოდგა — უამრავი საგოლე მომენტით, ისევ და ისევ მწვრთნელთა დუელით და, რაც მთავარია, გოლით.

არადა, პირველი საგოლე შანსი ქუთაისელებს მიეცათ. მასპინძელთა მეკარემ მართლაც წარმოუდგენელი რეაქციით სტუმრებს არ გაატანინა. კუთხურიდან გიორგი გურულის ჩაწოდებულს ალექსანდრე ლალაძემ თავური მიაყოლა, ზურაბ ქვაჩახიამ კი მუდამ ძნელად ასაღები ახლოდან თავით დარტყმული გააუვნებლა. ამერული პასუხი ჯერ დენის დობროვოლსკისა, მერე სულიკო დავითაშვილისა იყო. ერთ შემთხვევაში ბურთი კარს ასცდა, მეორედ, ჭვინტით დარტყმულს ბესიკ კოდალაევი ადგილზე დახვდა.

შესვენებამდე „ყვითლებმა" კიდევ ბევრჯერ სცადეს გატანა, მაგრამ ბოლო მომენტში, მაშინ, როცა კარში უნდა დაერტყათ, ქუთაისელი მცველები, განსაკუთრებით კი დავით გამეზარდაშვილი და თემურ ფარულავა მარჯვობდნენ. „ამერის" თითქმის ყველა შეტევა სწორედ მათ ჩაშალეს — მასპინძლებს კარში არ არტყმევინებდნენ. ხოლო, როცა ბურთი კარს დაემიზნებოდა, მეკარე თამაშობდა უშეცდომოდ.

შესვენებაზე გიორგი ჩიხრაძემ ტრავმამოშუშებული რატი წინამძღვრიშვილი ჩართო საქმეში. თამაში კი ისევე განახლდა, როგორც პირველი ტაიმი ჩამთავრდა — ბურთი სულ ქუთაისელთა კართან დაგორავდა, მაგრამ ზუსტი დარტყმა თბილისელებს არ გამოსდიოდათ. ჩიხრაძემ მალევე მეორე შეცვლაც გააკეთა — გიორგი დეკანოსიძეს გრიგოლ დოლიძე ამჯობინა. იქვე კი გიზო ჯელაძეს ფლანგი შეუცვალა და... 65-ე წუთი იყო, როცა სწორედ ჯელაძე შეიჭრა ქუთაისელთა საჯარიმოში, რამაზ დოლონაძე ჩამოიშორა, ჩააწოდა, გამეზარდაშვილმა სიტუაციის განმუხტვა თავით სცადა, მაგრამ ბურთი თანაგუნდელს ფეხზე მოხვდა და წინამძღვრიშვილს მიუგორდა, ვისი დარტყმულიც კოდალაევისთვის აუღებელი გამოდგა — 1:0.

„ამერი" დაწინაურდა და მოსალოდნელი იყო, „ტორპედო" დაცვით ბარიკადებს მოხსნიდა, მაგრამ ხუთი-ათი წუთი მატჩი ისევე გაგრძელდა, როგორც გოლამდე იყო. შემდეგ კი რევაზ ძოძუაშვილმა შეცვლებს მიმართა და სტუმრებმაც თამამად გაიწიეს მეტოქის კარისკენ. ქუთაისელებმა ერთი-ორჯერ მწვავე შეტევაც წამოიწყეს და ერთხელ ძალიან სახიფათო კუთხურიც ჩააწოდეს, მაგრამ მათ კართან იმდენი ნაღდი საგოლე მომენტი შეიქმნა... დოლიძეს ზედიზედ სამჯერ ჰქონდა ისეთი შანსი, თავდამსხმელი უკეთესს რას ინატრებდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა, ერთხელ კი „ტორპედო" იმავ დოლიძის დარტყმულის შემდეგ ძელმა გადაარჩინა.

მოკლედ, მატჩის ბოლოს „ტორპედომ", რომელმაც თითქმის მთელი თამაში დაცვაში გაატარა, მეტოქე ძალიან ანერვიულა. კარში დარტყმამდე საქმე არ მისულა, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი სახიფათოდ კი დაგორავდა.

საბოლოოდ, ერთი ქულადაუკარგავის და მეორე წაუგებლის თამაში სტუმრის წაგებით დამთავრდა, „ამერი" კი ქულათა მაქსიმუმით ისევ ლიდერია...

თქვენი ინტერვიუ
მალხაზ ასათიანთან

თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ" არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

დღე პირველი: დუშან უჰრინმა ხუთჯერ უღრინა

თბილისი. 17 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 300 (ტევადობა 25 600)

დინამო 2:1 კახეთი

1:0 გიგაური (62), 2:0 ამბროზიო (75), 2:1 დავითაშვილი (89)

დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ამბროზიო (გ. მერებაშვილი 76), ხმალაძე, ხუციშვილი, ბ. კობახიძე, ბობოხიძე (ზ. ჯანაშია 86), ს. იაშვილი (ჯ. დვალი 81)
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; აკობია, კ. მახარაძე, ნერგაძე
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, მურველაშვილი, მაღლაკელიძე, ნ. დავითაშვილი, კობაიძე, იმერლიშვილი, ციხკარიშვილი (გერგიშვილი 57), არუდაშვილი (ტეტიაშვილი 76), ამირანიძე (ბიძინაშვილი 66), სიხარულიძე
სათადარიგონი: ჩახუტაშვილი; ბ. კვირკველია, მ. ხიდეშელი, წუწუნავა
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

მსაჯები: დ. სანაია; გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე

დამკვირვებელი: ბ. შალამბერიძე; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

კახა შალამბერიძე

პირველ ტაიმში სამჯერ, მეორეში კი ორჯერ წამოხტა ფეხზე თბილისის „დინამოს“ ახალი თავკაცი დუშან უჰრინი და ისეთი დაულრიალა თავის შეგირდებს, ლამის თამაში შეჩერდა. სახელოვანი ჩეხი მწვრთნელი განსაკუთრებით პირველი 45-წუთეულით უნდა დარჩენილიყო უკმაყოფილო, როცა „კახეთმა“ არაფერი დაუთმო მეტოქეს და თითქმის ტოლ-სწორად ეთამაშა.

პირველი მატჩი იყო და, ბუნებრივია, დიდი ტაქტიკურ-ტექნიკური სიახლეები ჯერ ვერ გამოჩნდებოდა. უჰრინი ოდენ სამიოდ დღის ჩამოსულია თბილისში და ახლა ყველაზე მეტად მას დრო სჭირდება.

„ეს ძალიან საჭირო სამი ქულა იყო“ — იტყვის ნამატჩევ პრესკონფერენციაზე უჰრინი და მართალიცაა. რა თქმა უნდა, სამი ქულა ყოველთვის სასურველი და საჭიროა, მაგრამ აქ სწორედ დროსა და სივრცეზეა ლაპარაკი — ამ მომენტში გუნდს ყველაზე უფრო მოგება და თავდაჯერება უნდა.

25-ე წუთი იყო, სანდრო იაშვილი მეკარესთან პირისპირ რომ გავიდა და... კარს ააცილა, უჰრინიც უმალ წამოფრინდა სკამიდან და თანაშემწე კახა კაჭარავას დახმარებით რაღაც მითითებები მისცა ფეხბურთელებს, თუმც პირველ ნახევარში ამას შედეგი არ მოჰყოლია. ბურთის ფლობის უპირატესობა მასპინძლებმა ვერა და ვერ ასახეს სახიფათო მომენტებში.

ვერ ვიტყვით, „კახეთი“ ციდან ვარსკვლავებს წყვეტდაო — პირიქით, ბლომად შეცდომებს უშვებდნენ თელაველები, თუმცა ეს შეტევებისას, დაცვაში კი სტუმარი ფრთხილი და მოწესრიგებული ჩანდა.

„დინამოს“ უპირატესობა მეორე ტაიმში გამოიკვეთა და 62-ე წუთზე გოლითაც გაიხარა — ალექსანდრე კობახიძის ნაკუთხურალ ბურთს დავით გიგაურმა შეაგება ზუსტი თავური — 1:0.

მალე თბილისელებმა მეორეც გაიტანეს: მიხეილ ბობოხიძემ კარგად შემოიფანტა მცველები და ბრაზილიელ ამბროზიოსაც მეტი რაღა უნდოდა — 2:0.

თითქოს ხიფათი არსაიდან ჩანდა, თუმცა თელაველებმა მატჩის ბოლოსკენ ერთი ბურთის გაქვითვა კი შეძლეს — „დინამოს“ მცველმეკარის შეცდომით ნიკა დავითაშვილმა ისარგებლა და მახვილი კუთხიდან იხეირა — 2:1.

თქვენ წარმოიდგინეთ, „კახეთს“ თამაშის გადარჩენაც შეეძლო, როცა ბოლო წუთზე კობა კობაიძემ გაისროლა და გიორგი ლორიას ხელებიდან ბურთი კინალამ კარში ჩაეშვა...

პრესკონფერენცია

ჯემალ მახარაშვილი: პირველ რიგში, ვულოცავ „დინამოს“ ახალ მთავარ მწვრთნელს გამარჯვებას. ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ და ჩვენთვის ყველა ახლა თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ისიც ვიცოდით, ვისთან გვქონდა საქმე. მთლიანობაში ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ.

დუშან უჰრინი: კმაყოფილი ვარ, თუმცა ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ეს ცუდია. „დინამო“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია და ამ ბიჭებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო დღევანდელი მოგება. პირველი და მეორე ტაიმების 15-20 წუთი ვითამაშეთ კარგად. მატჩის ბოლოს მეკარის შეცდომის გამო ბურთი კი გავუშვით, თუმცა, საბედნიეროდ, მოვიგეთ.



კერკეტი „კახეთი“ დავით გიგაურის გვიანი გოლით გატყდა

ოცი წლის შემდეგ

დუშან უჰრინი: ჩემი ფეხბურთი საუკეთესო ფეხბურთია

მაშ ასე: ჩეხი დუშან უჰრინი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელია. შაბათს თბილისელთა მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ და ცნობილმა სპეციალისტმა ჟურნალისტების თვალწინ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და ჩვენს კითხვებსაც უპასუხეს. აღვნიშნოთ, რომ „დინამო“-უჰრინის საქმე სააგენტო „ლაოლამ“ და მისმა ხელმძღვანელმა აკა ტონიამ მოაგვარა და ამ შეთანხმებით ორივე მხარე, კლუბიც და მწვრთნელიც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა...

ბუბა ტყავაძე: კარგია, რომ დღეს უკვე მოიხსნა „დინამოში“ მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. დიდი მადლობა კახა კაჭარავას, რომელიც დუშან უჰრინამდე უძღვებოდა გუნდს და თავის საქმეს კარგად აკეთებდა. ახალ მწვრთნელთან კონტრაქტი ორწლიანია, უჰრინს კაჭარავა დაეხმარება, ხოლო მეკარეთა მწვრთნელი ისევ გელა ჭანტურია იქნება. დუშან უჰრინი, ვისთანაც სააგენტო „ლაოლამ“ და მისმა ხელმძღვანელმა აკა ტონიამ დაგვაკავშირეს, ვფიქრობ, საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. მასთან მოლაპარაკებისას, ბუნებრივია, ახალი ფეხბურთელების დამატებაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერი გვითქვამს. გუნდის გაძლიერების თაობაზე აზრები გავცვალეთ.

დუშან უჰრინი: ჩემთვის დიდი პატივია ისეთ სახელოვან და პოპულარულ გუნდში მუშაობა, როგორიც თბილისის „დინამოა“. ამ გუნდს ევროპაში და ჩეხეთშიც ძალიან ბევრი ქომაგი ჰყავს, თავად კი „დინამოს“ უკვე რამდენი ხანია ვიცნობ. ოცი წლის წინ ჩემი ხელმძღვანელობით ჩეხეთის „რუდეზველზდა“ ბათუმში და გაგრაში ემზადებოდა და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა „დინამოსთან“ თამაშობდა.

ამჟამინდელ „დინამოს“ მხოლოდ ერთი, ქუთაისის „ტორპედოსთან“ მატჩით ვიცნობ. გარდა ამისა, ვნახე საქართველოსა და სერბეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრა. ვიცი, რომ 21-წლამდელთა ნაკრებში რვა დინამოელია.

— ბუნებრივია, ვიდრე „დინამოსთან“ კონტრაქტს გავაფორმებდი, ვიფიქრე. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ სტუმრად მომიწვია, ვისაუბრეთ და მხოლოდ ამის შემდეგ დავთანხმდი წინადადებას. გადამწყვეტი ფაქტორი ფინანსები არ ყოფილა. საქმისადმი „დინამოს“ ხელმძღვანელობის სერიოზული მიდგომა რომ დავინახე, ჩემთვის ძიავარი სწორედ ეს იყო. დავინახე ინტერესი ჩემი პიროვნების მიმართ.

— „დინამო“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია და, ვფიქრობ, გამოცდილი ფეხბურთელები დაგვჭირდება. ეს გამოცდილი ფეხბურთელი ერთი უნდა იყოს თუ რამდენიმე, მაშინ გაირკვევა, როცა სავარჯიშო პროცესს დავიწყებ და ფეხბურთელთა შესაძლებლობებში ბოლომდე გავერკვევი.

— როგორც ვთქვი, საქართველოში ოცი წლის წინაც ვიყავი და მაშინ აქაურობა ძალიან მომეწონა. ახლა კი აქ მუშაობა მეუღლემ, ვაჟმა და მეგობრებმა მირჩიეს. ახალი მწვრთნელის დანიშვნას მუდამ ახლავს ახალი მიზნები და ამოცანები. ვეცდებით, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც „დინამოს“ ტრადიციებს შეეფერება.

— თბილისში ჩამოსვლამდე ორი წელი სხვა საქმეს ვაკეთებდი, ბიზნესში ვიყავი, თუმცა საფეხბურთო ამბებს არ ჩამოვშორებივარ. ჩემი ვაჟი, ალბათ იცით, ჩეხეთის ჩემპიონ „ბოლესლავის“ მწვრთნელია. ამას წინათ სწორედ „ბოლესლავის“ საუეფასთასო მეტოქე „მარსელი“ დავზვერე, ვაჟს დავეხმარე. სამწუხაროდ, პირველი შეხვედრა „ბოლესლავმა“ მარსელში 0:1 წააგო. სხვათა შორის, როცა „მარსელი“ დიდების ზენიტში იყო, 15 წლის წინ, ჩემმა გაწვრთნილმა „სპარტამ“ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გააგდო.

— ჩეხეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ოთხნახევარი წელი ვიყავი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად თამაშის შემდეგ კი ამჟამინდელ მწვრთნელ პაველ ბრიუკნერს ვაკრიტიკებ.

— ისეთი ფეხბურთის მიმდევარი ვარ, რომელიც ჩემს გუნდს წარმატებას მოუტანს. მსურს, ჩემმა შეგირდებმა საუკეთესო ფეხბურთი ითამაშონ.

კოგა ინასარიძე

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 6 ტური

მერანმა არც აცხელა და არც აცია სენსაცია

მცხეთა. 17 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 0:0 მერანი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, გველესიანი, გ. დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი, ფეიქრიშვილი, ზ. სახოკია, ნ. გელაშვილი (კვალინაძე 83), ღუჭაშვილი (გ. ბერიაშვილი 63) *სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ლ. ჯაფარიძე, ლ. რაზმაძე, კაიშაური, კლიმიაშვილი მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე	მერანი: სეფიაშვილი, სულაქველიძე (თ. მჭედლიშვილი 74), თურქია, ოსიტაშვილი, სარალიძე, გ. ბურჯანაძე (ცისკარაული 77), ფურთუხია, ბესარაშვილი, ჯ. ხურცილავა, გაგუა, ქემაშვილი (ლ. მანწკავა 58) *სათადარიგონი:* გლუნჩაძე; დათუნაშვილი, ნეფარიძე, ჯანგიძე მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: თურქია (15), ოსიტაშვილი (19), ბესარაშვილი (84)

მსაჯები: კ. ჭაჭუა; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; ლ. ფანიაშვილი



[illegible] ფოტო

დავით ეჯიბიშვილი

გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან

„ვიტ ჯორჯია" — „მერანი" 0:0. სენსაცია თუ კანონზომიერება? რა თქმა უნდა, სენსაცია. ვინ წარმოიდგენდა, თუ ვიტელები უმაღლესი ლიგის დებიუტანტებს ვერ მოუგებდნენ...

გუშინ „არმაზის" ტრიბუნაზე შეფენილი ასამდე ქომაგი მასპინძელთა იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა და თავიდანვე გოლების წვიმას ელოდა, მაგრამ...

ეს არ იყო „ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო თამაში, მაგრამ მოდით, ნურც დავით ეჯიბიშვილის ბიჭებს დავუკარგავთ ნაჯაფს: მწვრთნელი, რომელიც მთელი თამაში, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზე არ დამჯდარა, უნარიანად ხელმძღვანელობდა შეგირდებს. მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი, რომელმაც მთელი თამაში ჩინებულად ჩაატარა, გამოსვლებზეც და ხაზზეც საიმედო იყო. „მერანის" დაცვაც კედელივით იდგა. მჭიდრო და ორგანიზებულად თამაში — ეს გახლდათ ეჯიბიშვილის მითითება და ვიტელებმაც ვერაფერი მოუხერხეს ჭკვიანურად მოთამაშე მეტოქეს.

მერანელებმა მატჩი თამამად დაიწყეს. თითქოს მიანიშნეს კიდეც მასპინძლებს, ფავორიტები კი ხართ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო. სტუმრები უბრძოლველად გოჯს არ თმობდნენ და მე-2 წუთზე კინაღამ გოლიც გაიტანეს — ჯაბა ხურცილავას დარტყმული გრიგოლ ბედიაშვილმა ნახტომში უკუაგდო.

„ვიტ ჯორჯია" ამის მერე ამოქმედდა, თუმცა ისე ვერა, როგორც ამ გუნდისგან ვართ ნაჩვევნი. 24-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილმა დაარტყა ოციოდ მეტრიდან ჯარიმა — სტუმრები ძელმა იხსნა.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ნაღდად უნდა გაეტანათ: ჯერ ზაზა სახოკია შევარდა საჯარიმოში შურდულივით და ისეთი დაარტყა, კინაღამ ხარიხა ჩამოაგდო, ასხლეტილ ბურთს კი ნიკა გელაშვილი ამატებდა, მაგრამ ლამის ცარიელ კარს ააცილა.

თამაშის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა: „ვიტ ჯორჯია" უტევდა, ზოგჯერ ქაოსურადაც. „მერანი" კი დაცვაში იყო გამაგრებული და შესაძლებლობისთანავე არც კონტრშეტევებს იკლებდა. საყრდენებს, თემურ ფურთუხიას და მიხეილ ბესარაშვილს ბურთი ვალერი გაგუამდე უნდა აეტანათ, ის კი მერე პასებს ანაწილებდა.

ვიდრე სტუმართა რეალურ საგოლე მომენტზე გეტყოდეთ, სეფიაშვილის გმირობაზე ვთქვათ: 61-ე წუთი იყო, ოლეგ გველესიანმა მარცხნიდან რომ ჩაჰკიდა ბურთი საჯარიმოში, სადაც გიორგი დათუნაიშვილმა მძლავრი თავური შეაგება. გოლიაო, წამოიშალა ხალხი ტრიბუნიდან, მაგრამ... სეფიაშვილი გაფრინდა და ბურთი კარის ხაზზე გააქვავა.

„ვიტ ჯორჯიაც" კინაღამ „ვერ გაიტან, გაგიტანენ" პრინციპით დაისაჯა — თამაშის ბოლოს ფურთუხიას მარჯვედ რომ დაერტყა, „მერანი" სამ ქულას გაიყოლებდა, მაგრამ ააცილა.

ბოლოსკენ მასპინძლებმა შორეული დარტყმებით სცადეს ბედი, მაგრამ არც აქ გაუმართლათ...

გორი. 17 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 100 (ტევადობა 8 230)

დილა 0:1 სიონი

0:1 ცხადაძე (83)

დილა: თ. ილურიძე, კობახიძე, ბალიაშვილი, სადალაშვილი, დ. თომაშვილი, კურტანიძე, ვაჩეიშვილი, ნ. ნოზაძე, ალ. ლაბაძე (აბრამიშვილი 67), დ. ტლაშაძე (ვარდოსანიძე 86), გ. წინამძღვრიშვილი *სათადარიგონი:* გეგეშიძე; ქავთარაძე, ელბაქიძე, მძინარიშვილი, თაყაძე მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი	სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი (ქარდავა 65), რაქვიაშვილი, ვ. უგრეხელიძე, კვიტაიშვილი, სიჭინავა (შავგულიძე 46), ბაჯელიძე, ბ. ცხადაძე, ჩასემი (სვანიძე 85) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ქურასბედიანი, ზ. ჭელიძე, ოქროპირიძე მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე

გაფრთხილება: ჩასემი (25), ლაბაძე (60), უგრეხელიძე (67), ვაჩეიშვილი (72)

მსაჯები: ლ. სილაგავა; შ. ქუხილავა, ი. უკლება; ტ. არაბული

დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

დილა ცხადაძემ გატეხა
შეძლებისდაგვარად ვთამაშობთ და გაძლებისდაგვარად ვარსებობთ

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო, სტუმრები თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ იოლ გამარჯვებაში და ტერიტორიულ უპირატესობასაც მალე დაეუფლნენ.

„დილა" მედგრად დაუხვდა ჩემპიონს. მასპინძლებმა დაცვითი სქემა აირჩიეს და სტუმრებს მინდვრის ყოველ მონაკვეთზე უშელავათო ბრძოლა გაუმართეს, ამიტომაც იყო საგოლე მომენტები იშვიათობა. მხოლოდ 21-ე წუთზე ჰქონდა „სიონის" ლეგიონერ ჩასემს კარგი მომენტი, როცა საჯარიმოში შეიჭრა და შეუჩერებლად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ბოლომდე საინტერესო არაფერი მომხდარა, 45-ე წუთზე კი კვლავ ჩასემს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ თავით ახლოდან ააცილა კარს.

მეორე ნახევარში ბოლნისელებმა ტემპს უმატეს და მატჩიც უფრო საინტერესო გახდა. გააქტიურდა მარცხენაფლანგელი გიორგი კვიტაიშვილი, რომელიც ხშირად ამწვავებდა სიტუაციას...

დრო გადიოდა და სენსაციაც მწიფდებოდა, თუმცა...

ზუსტად და ფრთხილად მოთამაშე „დილას" დაცვამ ერთადერთი შეცდომა დაუშვა და ისიც ძვირად დაუჯდა. 83-ე წუთი იყო, როდესაც მასპინძელმა მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს, ბაჩო ცხადაძეც მეკარესთან პირისპირ დარჩა და აუღელვებლად შეაგდო დაბალ კუთხეში — 0:1.

პრესკონფერენცია

გიორგი ყიფშიძე: ცუდად ვითამაშეთ და ეს ალბათ ფეხბურთელთა ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალია. მათ მიმართ მკაცრ ზომებს გავატარებთ.

რევაზ მამესწარაშვილი: რაც შეგვიძლია, ვთამაშობთ. ყოველი თამაშის შემდეგ ერთი და იგივეს ვიმეორებ: გუნდს დახმარება და მიხედვა სჭირდება.

ბათუმმა ხმა სახლშიც ამოიღო: სეზონში პირველი ქულა აიღო

ბათუმი. 17 სექტემბერი. 16 საათი. დინამო

ბათუმი 0:0 ზესტაფონი

ბათუმი: თოთლაძე, ექონია, აბშილავა, ლობჟანიძე, გალოგრე, კუნჭულია, ცანავა, ა. მუჯირი, კოშკაძე (ბეჟანიძე 75), გოგოლაძე (ტუღუში 69), ოქრუაშვილი (ჯინჭარავა 45) *სათადარიგონი:* ბექთაშვილი; ბაჯელიძე, ქორიძე, ბერიძე მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე	ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, ნ. კვასხვაძე, ძამსაშვილი, ბჟალავა (გ. თურმანიძე 58), გ. ჭელიძე, იონანიძე (იმედაძე 80), ფიფია (გოცირიძე 64), ბ. ნოზაძე *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ხუმარაშვილი, ხიდაშელი მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: ნოზაძე (34), ცანავა (43), ექონია (50), გალოგრე (90)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ხუციშვილი, დ. გოგოლაძე; გ. დოგრაშვილი

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

„ბათუმმა" ჩემპიონატში პირველი საშინაო ქულა აიღო. ისეთი თამაში იყო, მოგებაც შეეძლო და წაგებაც...

პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა შექმნეს — ოქრუაშვილმა მეკარის საჯარიმოს მისადგომებთან გოგოლაძე შენიშნა, გოგოლაძემ შეტევაში კოშკაძე ჩართო, რომელმაც კარგად მიიღო ბურთი და საჯარიმოშიც შეიჭრა, თუმცა მცველებმა შეაჩერეს. საეჭვო სიტუაცია კი იყო, მაგრამ მსაჯმა თამაშის გაგრძელება ბრძანა...

ბათუმელთა მორიგი შეტევა უფრო სახიფათო გამოდგა. ზესტაფონელები ლამის მთელი გუნდით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, უწყინარ სიტუაციაში ბურთი დაკარგეს და კონტრშეტევაზე სამი ბათუმელი ორი ზესტაფონელის წინააღმდეგ აღმოჩნდა — ამირან მუჯირმა ლამაზი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა დავით გოგოლაძე, რომელმაც უხეიროდ დაარტყა.

„ზესტაფონი" ტაიმის ბოლოსკენ გამოცოცხლდა. ნიკა კვასხვაძემ აბშილავა ჩამოიტოვა, შეიჭრა საჯარიმოში და ძლიერადაც დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხეში — ირაკლი თოთლაძემ იყოჩაღა.

მეორე ტაიმის პირველი შეტევა მასპინძლებისა იყო: მირზა ბჟალავას ბურთი ალექსანდრე კოშკაძემ აართვა და გოგოლაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა — „ბათუმის" ფორვარდმა კი ისევ ვერ იხეირა, დარტყმული ისევ ასცდა კარს.

თემურ მახარაძის შეგირდები ბურთის ფლობით სჯაბნიდნენ მეტოქეს, მაგრამ საგოლე ეპიზოდებს ნაკლებად ჰქმნიდნენ.

71-ე წუთზე მუჯირმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ცვლილებაზე შესულმა ტუღუშმა ყველას აჯობა და ძლიერი თავურით გრიგოლ ჭანტურიას კარის ძელი შეაზანზარა.

პრესკონფერენცია

თემურ მახარაძე: ძალიან საინტერესო მატჩი იყო. „ბათუმმა" აშკარად მოუმატა თამაშს. სამწუხაროდ, ჩემმა ფეხბურთელებმა სახიფათო ეპიზოდები ვერ გამოიყენეს, ასე არ შეიძლება. ვფიქრობ, მოგება გვეკუთნოდა.

ამირან გოგიტიძე: საკმაოდ ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ და შედეგით კმაყოფილი ვარ. „ბათუმი" ორი თვის შექმნილი გუნდია და პროგრესიც იგრძნობა.

ამერი	6	6	0	0	12:1	18
ოლიმპი	6	5	1	0	14:0	16
ვიტ ჯორჯია	6	4	2	0	12:4	14
დინამო	6	4	0	2	12:5	12
ზესტაფონი	6	3	2	1	7:3	11
ტორპედო	6	3	2	1	5:2	11
სიონი	6	3	0	3	7:6	9
მერანი	6	2	1	3	6:10	7
ბათუმი	6	1	2	3	5:6	5
ლოკომოტივი	6	1	2	3	5:9	5
ჩიხურა	6	1	2	3	4:8	5
ბორჯომი	6	1	1	4	7:14	4
დილა	6	0	1	5	2:16	1
კახეთი	6	0	0	6	5:19	0

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
პარიზი. 16-17 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი დავით ქევხიშვილმაც დასცა

AFP პარიზიდან

რუსეთ-იაპონიის ომში გაიმარჯვა საქართველომ



ნესტონ ხერგიანი: მეტოქე დაბლა, მუშტი მაღლა!

AFP პარიზიდან

ძიუდო ინდივიდუალური სპორტის სახეობაა, მაგრამ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება ტურნირი — მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატი, სადაც უძლიერესი ნაკრებები ერთმანეთს გუნდურად ეჭიდებიან. გამარჯვებული ისაა, ვინც შვიდი წონითი კატეგორიის შერკინების ჯამში მეტ ქულას აგროვებს. ამ უქმეებზე მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს პარიზმა უმასპინძლა და ფრანგულ დარბაზში დიდმა ქართულმა სიხარულმა დაისადგურა. შოთა ხაბარელის შვიდეულმა 2002 წლის მსოფლიოს ვერცხლი 2006 წლის ოქროში გადაცვალა და უკან სუპერვარსკვლავებით გადაჭედილი იაპონია, კორეა, საფრანგეთი, რუსეთი და ჰოლანდია მოიტოვა

ტურნირში ცამეტი ქვეყნის ნაკრები ჩაერთო. ათი მერვედფინალში დაწყვილდა, ხოლო სამი ბედნიერი პირდაპირ მეოთხედფინალში ჩაჯდა. კენჭისყრამ დასვენება ჰოლანდიას, იაპონიასა და უკრაინას გამოუწერა. სწორედ ეს უკანასკნელი ერგო მეოთხედფინალში საქართველოს მეტოქედ და ოქროს გზაც იქვე ჩაეხერგა. ჩვენმა შვიდეულმა კი უკრაინამდე ეგვიპტესთან წაივარჯიშა. ვახტანგ ხოსიტაშვილმა (60კგ) ბრძოლა ფრედ დაასრულა, ზაზა კედელაშვილმა (66კგ), დავით ქევხიშვილმა (73კგ), გიორგი ბაინდურაშვილმა (81კგ), ირაკლი ცირეკიძემ (90კგ), გიორგი ყიზილაშვილმა (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანმა (+100კგ) და იმარჯვეს.

უკრაინასთან მსუბუქ წონაში ხოსიტაშვილის ადგილი ნესტორ ხერგიანმა დაიკავა და იპონითაც მოიგო. წმინდა გამარჯვებები იზეიმეს კედელაშვილმა და ცირეკიძემაც. ქევხიშვილმა ვაზარი იკმარა. ბაინდურაშვილმა ევროპის პრიზიორ რომან გონტიუკთან ჭიდილი ფრედ დაასრულა. ყიზილაშვილმა და გუჯეჯიანმა კი უმოტივაციო შეხვედრები წააგეს. ნახევარფინალის საგზური ხომ ცირეკიძის ქულამ მოიტანა.

სამხრეთ კორეასთან ქართულ შვიდეულს ყველაზე მეტად გაუჭირდა. გადამწყვეტი გამოდგა მეშვიდე შეხვედრა. გუჯეჯიანის ნაცვლად ხაბარელმა ტატამზე ზვიად ხანჯალიაშვილს უხმო და შეცვლამ გაუმართლა. ზვიადმა მეტოქე ბეჭებზე გააკრა.

ქართველების საჩემპიონო ჭიდაობას პარიზში ხელი იღბლიანმა კენჭისყრამაც შეუწყო. სამი მთავარი კონკურენტი — იაპონია, საფრანგეთი და რუსეთი ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ და ერთმანეთი დაჭამეს. ჯერ იყო და მასპინძლებმა ძიუდოს სამშობლოს შვილებს გადაუწურეს ტიტულის დაცვის იმედი, მერე კი რუსეთთან რკენაში თავადაც დაასრულეს ოქროზე ფიქრი.

„რუსები პარიზში საოცარი ამბიციით იყვნენ ჩამოსულები — გვითხრა მოგვიანებით შოთა ხაბარელმა, ჩემპიონობის მისალოცად სასტუმროში რომ შევეხმიანეთ — პირადად შევესწარი საუბარს, სა-

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

პარიზი. 16-17 სექტემბერი

ზაზა კედელაშვილის ჭიდაობას გმირობა უფრო დაერქმევა

AFP პარიზიდან

ფინალის საგზური ზვიად ხანჯალიაშვილის ამ გდებამ მოიტანა

AFP პარიზიდან

დაც პირდაპირ ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ მათი ერთადერთ მეტოქე იაპონია იყო და მათ ჩემპიონობას აუცილებლად ჩამოართმევდნენ. აღვშფოთდი და მაშინვე ეკითხე, ნაადრევად ხომ არ ჩამოგვწერეთ-მეთქი. მიხარია, რომ ის სიტყვები სანანებელი გაუხდათ."

ნაკრების თავკაცი ყველაზე მეტად ზაზა კედელაშვილის ვაჟკაცობას აღნიშნავს — „ზაზამ პირველსავე შეხვედრაში მძიმე ფორმით ტვინის შერყევა მიიღო. ექიმები საერთოდ უკრძალავდნენ ტატამზე გასვლას. ეს კი ნიშნავდა რომ 66 კილოგრამში დარჩენილ მეტოქეებთან ავტომატური წაგება უნდა ჩაგვთვლოდა. ზაზამ თავი გადადო, მაინც იჭიდავა და ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო."

ფინალი ჩრდილოელი მეზობლებისთვის სასურველი სცენარით დაიწყო. რუსებს ქულა ისეთმა კაცმა მოუტანა, ალბათ თვითონაც ნაკლებად რომ ელოდნენ. რუსლან კიშმახოვმა ნესტორ ხერგიანს ქულებით სძლია. ქართველები ყველაზე გამოცდილი თანაგუნდელის მარცხმა არათუ გატეხა, პირიქით, გაახელა. კედელაშვილმა ისევ წმინდად მოიგო, ქევხიშვილმა ქულებით. გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ) სულაც რუსთა ერთ-ერთ ლიდერს, ევროპის ჩემპიონ დიმიტრი ნოსოვს დასწყვიტა გული და მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. წინ კი კიდევ სამი წონა იყო.

„ოქროს საქმე" მალევე გაკეთდა. დიდი ჩრდილოელების ოცნება ირაკლი ცირეკიძემ დაასამარა ივან პერშინის ძლევით. ყიზილაშვილმა და ხანჯალიაშვილმა წამებში წაგეს, ორივემ იპონით, მაგრამ ამ დროს ტატამზე საცქერად აღარავის ეცალა. ქართველმა ძიუდოისტებმა დროშები ააფრიალეს და ტრიბუნებზე მსხდომ მცირერიცხოვან გულშემატკივარს მადლობა გადაუხადეს, მერე კი ხაბარელი აიტაცეს და ააბურთავეს.

„ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარული განვიცადეთ — ეს უკვე ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ შენგელი ფიცხელაურის სიტყვებია — 2010 წლამდე მსოფლიოს საუკეთესო გუნდად საქართველო ჩაითვლება. დღეს ჩვენი ძალა ერთხელაც დავამტკიცეთ."

ზემოთ შოთა ხაბარელის სიტყვებიც დავწერეთ. ცხადია, მთავარ მწვრთნელთან სალაპარაკო მეტი გვქონდა, მაგრამ კავშირი გაწყდა. დიდხანს ვეცადეთ დარეკვას. ბოლოს კი სასტუმროს ადმინისტრატორმა უიმედოდ მოგვახალა — ქართველ ძიუდოისტებთან იმდენი ხალხი რეკავს, ძალიან იღბლიანები უნდა იყოთ, მათთან დაკავშირება რომ შეძლოთო.

ბოლოს ერთი საინტერესო ინფორმაციაც. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი წინასწარი გეგმით თბილისში დღეს დილით უნდა გამოფრენილიყო, მაგრამ ბილეთები გაუუქმებიათ. პარიზში ნაკრებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩააკითხავს და ოქროს ბიჭებიც თბილისში პრეზიდენტის თვითმფრინავით დაბრუნდებიან.

ოთარ მაღლაკელიძე

ბორჯომის თასი. ჰარდი. საპრიზო 10 000 $

ეკას პირველის მეორე

გორგოძემ დებიუტი ფინალით დაასრულა

ეკა გორგოძე და ვარვარა გალანინა

ნახევარფინალი

ეკა გორგოძე (საქართველო) — ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუსეთი) 6:3 7:6 (7:4); ვარვარა გალანინა (2, რუსეთი) — ამინა რახიმო (8, ყაზახეთი) — 6:3 0:6 7:6 (7:5)

ფინალი

გალანინა — გორგოძე 6:3 6:4

14 წლის ეკა გორგოძეს მიზნამდე — საპრიზო ფონდიანი სადებიუტო ტურნირი ჩემპიონობით აღენიშნა — სულ ცოტა დააკლდა. „ბორჯომის თასის" ყველაზე უმცროსმა მონაწილემ მთელი კვირის განმავლობაში ასიამოვნა „იან ჰომერის" კორტებზე მისული გულშემატკივარი ძლიერი და შეუპოვარი თამაშით. რეიტინგის მიხედვით, პატარა ქართველის წინააღმდეგ ყველა ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ეკა სენსაციას სენსაციას უმატებდა. ორჯერ განთესილ ჩოგბურთელსაც დაამარცხებინა ჩოგანი და ფინალშიც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გავიდა. იქ კი ტურნირის მეორე ნომერს, ხუთი წლის უფროს რუს ვარვარა გალანინას გადაეყარა.

„ბორჯომის თასის" დასკვნითი თამაში გუშინ ჩატარდა და სტუმრის ჩემპიონობით დასრულდა, თუმცა ფინალამდე გორგოძემ რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას მოუგო და ორი სიტყვით ამ თამაშზეც ვთქვათ. პირველი სეტის ექვსი გეიმი ქულა ქულაში წარიმართა. მერე კი ეკამ იძალა და ექვსამდე ისე ავიდა, მოწინააღმდეგეს ერთი გეიმიც აღარ დაუთმო. მეორე სეტიც იგივე შემართებით დაიწყო და პირველსავე გათამაშებებზე ნათელი გახდა, რომ 16 წლის რუსი მისი შემჩერებელი არ იყო. სულ რაღაც ნახევარ საათში გორგოძე 5:1-ს იგებდა და თავად აწოდებდა. ყველა ფინიშის მოლოდინში გაირინდა, მაგრამ უეცრად ქართველს წინა დღეებში ვარჯიშისას მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი. რამდენჯერმე ისეთი ბურთის მისაწვდომად ვერ შეძლო გაქცევა, მანამდე ლამაზი დარტყმებით რომ აგვირგვინებდა.

ქართველმა მოწოდება დათმო და კორტზე ექიმსაც უხმო. საქმეს ვერც ორწუთიანმა მკურნალობამ უშველა. ხუთიოდ წუთში რუსმა სამი გეიმიც მიითვალა და ანგარიშიც გაათანაბრა — 5:5. დაღლა ტოჩილოვსკაიას აშკარად გორგოძეზე მეტად ეტყობოდა, მაგრამ თამაში რომ მესამე სეტში გადასულიყო, ალბათ, მაინც ის იმარჯვებდა, ჩვენებურის ტრავმიდან გამომდინარე. გორგოძემ ბოლო ძალა მოიკრიბა, ტაიბრეიკის გამნაღდებელი ქულა აიღო. იქ კი 7:4 იმარჯვა და კოჭლობით დატოვა კორტი.

ფინალში ეკამ ფეხშეხვეულმა ითამაშა. ერთი შეხედვით, გალანინასთან ტკივილი არ შესტყობია, მაგრამ შორეულ ბურთებზე ჩვეულად აშკარად ველარ დარბოდა. შეცდომებიც მეტი დაუშვა, ვიდრე ერთად ყველა მანამდელ თამაშში. შეხვედრა მისი უპირატესობით დაიწყო, რაც ანგარიშშიც აისახა — 3:1 პირველ სეტში, მაგრამ სულ ეს იყო. შემდეგი ხუთი გეიმი გალანინამ მიჯრით მიითვალა და თასისკენ ერთი ნაბიჯიც გადადგა. პატარა ქართველმა ორგეიმიანი უპირატესობა მეორე სეტშიც გაანიავა. მერე ერთი თავისი მოწოდებაც დათმო და...

„მართალია, გადამწყვეტი შეხვედრა ვერ მოვიგე, მაგრამ გული მაინც არ მწყდება — გვითხრა ნამატჩევს ეკა გორგოძემ — ბედნიერი ვარ, რომ პირველსავე საპრიზოფონდიან ტურნირზე ფინალში გავედი. გალანინა ჩემზე უფროსიცაა და ბევრად გამოცდილიც, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ტრავმა რომ არა, ჩემპიონიც გავხდებოდი. ახლა „იან ჰომერის თასი" იწყება და მასზეც სიამოვნებით ვითამაშებ, თუ ექიმი ნებას დამრთავს. 5 ოქტომბერს იტალიაში მივდივარ მასტერზე და არ მინდა, იქამდე ტრავმა კიდევ უფრო გავიმიზეზო."

„ბორჯომის თასის" რუს მფლობელს ათას ხუთასი დოლარიც გადაეცა, მაგრამ ფინანსურად მასზე მოგებული მაინც გორგოძე დარჩა. საპრიზო ფონდიდან გამოყოფილ ცხრაას ოთხმოც დოლარს ათასი კომპანია „ქართული ჩოგბურთის" ხელმძღვანელმა დავით ლანჩავამ წაამატა. წყვილთა შორის ჩემპიონები ყაზახი ამინა რახიმი და რუსი იულია სოლონიცკაია გახდნენ.

დღეს „იან ჰომერის" კორტებზე „იან ჰომერის თასის" ძირითადი შეხვედრები დაიწყება. საკვალიფიკაციო ეტაპი ამ უქმეებზე ჩათამაშდა.

ოთარ მაღლაკელიძე

შენ ჩოგბურთში შემოიჭრე

ბაღდატისმა ანგარიში გახსნა

კაცები

ბუქარესტი. რუმინეთი. თიხნარი

საპრიზო 302 000 €

ფინალი

იურგენ მელცერი (ავსტრია) — ფილიპო ვოლანდრი (5, იტალია) 6:1 7:5

კაცები

პეკინი. ჩინეთი. ჰარდი

საპრიზო 475 000 $

ფინალი

მარკოს ბაღდატისი (3, კვიპროსი) — მარიო ანჩიჩი (4, ხორვატია) 6:4 6:0;

ქალები

ბალი. ინდონეზია. ჰარდი

საპრიზო 225 000 $

ფინალი

სვეტლანა კუზნეცოვა (1, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (6, საფრანგეთი) 7:5 6:2

კვირა დღე იღბლიანი იმ ჩოგბურთელთათვის გამოდგა, რომელთაც ტურნირის მოგების სიტკბო აქამდე ერთხელაც არ შეეგრძნოთ და კარიერაში პირველად აღმართეს თასი.

ჯერ ბუქარესტული ამბებით დავიწყოთ, სადაც იურგენ მელცერმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და მეოთხე ცდიაზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. საკმაოდ საშუალო დონის ავსტრიელისთვის ეს მართლაც დიდი მოვლენაა.

ისე, მელცერს ბედმაც გაუღიმა — ნახევარფინალში მხოლოდ სეტი ითამაშა, რადგანაც პოლ-ანრი მატიომ ტრავმა მიიღო. სამაგიეროდ, ავსტრიელის გუშინდელმა მეტოქემ შაბათს ძალიან იწვალა ბუქარესტის შარშანდელ ტრიუმფატორ ფლორენ სერასთან. ამიტომაც იყო, ფილიპო ვოლანდრი ძლივს რომ გადაადგილდებოდა კორტზე და მელცერსაც ბევრი პრობლემა აღარ შექმნია.

პეკინში პირველი ტიტული მოიგო მარკოს ბაღდატისმაც. ეს კვიპროსელი წლეულს ისე მოულოდნელად შემოიჭრა საჩოგბურთო ელიტაში, რომ თითქმის აღარავის ახსოვდა მისი შედარებითი გამოუცდელობა. წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი მთელი სეზონია, საკმაოდ მაღალ დონეზე კი თამაშობს, მაგრამ რაიმე სერიოზულის მოგებამდე მაინც რაღაც აკლდებოდა ხოლმე. და აი, კუნძულელმა ჩინეთის დედაქალაქში იხეირა. ამით ბაღდატისმა იქნებ მოიშუშოს ნიუ იორკში ანდრე აგასისთან მარცხით დაკოდილი გული.

ბაღდატისმა ფინალში მარიო ანჩიჩს გადაუარბინა. ხორვატმა მხოლოდ პირველ სეტში თუ იცოდვილა, თორემ მერე კორტზე მარტო ერთი კაცი თამაშობდა. მარკოსმა მეორე პარტიაში ნულზე გაყინა თავისი 22 წლის მეტოქე და კარგი ზეიმიც მოიწყო.

ბალიში დაუმარცხებელია სვეტლანა კუზნეცოვა. რუსი მესამედ ჩადის ინდონეზიის ამ ულამაზეს კუნძულზე და იქ მისი დამმარცხებელი ჯერაც არავინ გამოჩენილა.

წლეულს კუზნეცოვას ყველაზე მეტად გაუჭირდა, რადგანაც მეტოქეები ძლიერთა ეშელონიდან შეხვდა. განსაკუთრებით ეს ნახევარფინალზე ითქმის, სადაც რუსი ლინდსი დევენპორტს დაეჯახა. ფინალი კი გაცილებით იოლად ჩააჩოგნავა.

კახა ლომაშვილი

ფედერაციის თასი

FedCup BNP PARIBAS

ფინალი. შარლერუა. ბელგია. 16-17 სექტემბერი

ბელგია 2:3 იტალია

კირსტენ ფლიპკენსი 1:6 3:6 ფრანჩესკა სკიავონე

ჟუსტინ ენენ-არდენი 6:4 7:5 ფლავია პენეტა

ჟუსტინ ენენ-არდენი 6:4 7:5 ფრანჩესკა სკიავონე

კირსტენ ფლიპკენსი 7:6 3:6 3:6 მარა სანტანჯელო

ფლიპკენსი, ენენ არდენი 6:3 2:6 0:2 *(უარი)* სკიავონე, რობერტა ვინჩი

61-ე ვუელტა 26 აგვისტო-17 სექტემბერი

ესპანური ღვინო ვინოკუროვმა შესვა

რჩეული სამეული: ალეხანდრო ვალვერდე, ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეი კაშეჩკინი

მე-20 ეტაპი. 16 სექტემბერი. რივას ვაჩიამადრიდი. ინდივიდუალური. 28 კმ

1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	33 წთ 39 წმ
2. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკატელი)	+6 წმ
3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+19 წმ
7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+44 წმ
13. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+1 წთ 06 წმ

21-ე ეტაპი. 17 სექტემბერი. მადრიდი — მადრიდი. 142 კმ

1. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი)	3 სთ 40 წთ 47 წმ
2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	
3. ორელინ კლერკი (შვეიცარია, ფონაკი)	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზახეთი, ასტანა)	81 სთ 23 წთ 07 წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+1 წთ 12 წმ
3. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+3 წთ 12 წმ
4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+3 წთ 35 წმ
5. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+6 წთ 51 წმ

როგორც მოსალოდნელი იყო, ისეც მოხდა. ესპანელთა ჯილამ და ვუელტას ყოფილმა ლიდერმა ალეხანდრო ვალვერდემ ბოლო შანსი თითქოს ბოლომდე გამოიყენა, ინდივიდუალურად გასავლელ 28-კილომეტრიან მე-20 ეტაპზე ფეხებში შემორჩენილი ენერგიის მაქსიმუმი გაიღო და თუმც ინდივიდუალურ რბოლებში არც ისეთი ყოჩაღია, მესამე ადგილზე გასვლა მაინც მოახერხა, მაგრამ მთავარიც ესაა, რომ ალექსანდრ ვინოკუროვთან მაინც ვერას გახდა და ესპანეთის ჩემპიონის ტიტულიც ყაზახს დარჩა.

ვინოკუროვმა ვალვერდეს საერთო ჩათვლაში ლიდერობა მე-17 ეტაპზე ჩამოართვა და მას შემდეგ წამობით ზრდიდა სხვაობას. ინდივიდუალურ რბოლაშიც მან ყველა კითხვა ერთი პასუხით მოსპო, უბრალოდ, მოიგო ეს რბოლა და საკუთარ თავს დაბადების დღეზე მშვენიერი საჩუქარიც უძღვნა — 16 სექტემბერს მას 33 წელი შეუსრულდა.

